



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



წერილის ნომერი: 27-27233457
თარიღი: 11/12/2023

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს ინფორმაციის

თავისუფლების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე

2023 წლის საანგარიშო პერიოდში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან სხვადასხვა დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია 104 საჯარო ინფორმაცია.

შემოსულ მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული არ არის.

2023 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

მოთხოვნილ ინფორმაციებზე პასუხის მომზადების პროცესში გამოყენებულია საკრებულოს სამართლებრივი აქტების, შემოსული და გასული კორესპოდენციის და ადმინისტრაციული რესურსების მართვის მონაცემთა ბაზები.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევების, პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტებს ადგილი არ ქონია.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაუღია.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

